KA021795049029020

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/71125 30 / დეკემბერი / 2020 წ.

შპს „ქართულ-ამერიკულ სამედიცინო უნივერსიტეტს“
მის.: ქ. თბილისი, პეკინის ქუჩა №2, ბინა №9
ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №10

ელფოსტა: ninotoronjadze@gau.edu.ge

თქვენი 2020 წლის 16 დეკემბრის წერილის (სააგენტოში რეგისტრაცია: № 125953/ფ, 17.12.2020 წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) არ არის წინააღმდეგი იპოთეკით დატვირთოთ სააგენტოსა და შპს „ქართულ-ამერიკულ სამედიცინო უნივერსიტეტს“ (ს/კ: 405346656) შორის 2019 წლის 03 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გადმოცემული ქონება (ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა №40-ში (ნაკვეთი №05/006) მდებარე 3054.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ: 01.13.01.005.026. დღეის მდგომარეობით ს/კ: 01.13.01.005.030) მხოლოდ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით.

აქვე გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების 5.8 მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 3^1 მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული ქონების იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა), ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის ქონების შემძენის მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი საპრივატიზებო ვალდებულებები და შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები. ამასთან, ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტისა და ხელშეკრულების 6.6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, პრივატიზებული ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება. გთხოვთ, ზემოაღნიშნული პირობები ასახული იქნას იპოთეკის ხელშეკრულებაში. თუმცა გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისი ნორმა მოქმედებს აღნიშნული პირობის მხარეთა შორის გაფორმებულ/გასაფორმებელ იპოთეკის ხელშეკრულებაში გაუთვალისწინებლობის შემთხვევაშიც.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინი ჩაჩანიძე